ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახალციხის რაიონი
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ასტორია“
**G E O R G I A**
**REGION OF AKHALTSIKHE**
**L.T.D. ``ASTORIA``**

# 15 05.03 .2020 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ასტორია“-ს დირექტორი (პ/ნ 224067630, იურიდიული მისამართი საქართველო, ახალციხე, თამარაშვილის ქ.,№5).

ბ-ნი მალხაზი მანველიშვილის

ელ.ფოსტა. LTD.ASTORIA@gmail.com

მობ: 599 76-52-48

სკრინინგის განცხადება

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ასტორია“ (ს/კ224067630), ახალციხის რაიონი, სოფელ კლდეში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი **62.06.59.337**, რომელიც წარმოადგენს მის საკუთრებას, გეგმავს ასფალტისქარხნის მშენებლობას, კერძოდ, ასფალტის ქარხანა რომელიც უნდა დამონტაჟეს აღნიშნულ ტერიტორიაზე არის გერმანული წარმოების TELTOMAT - S750, რომლის წარმადობა საათში 80 ტ ასფალტია. ქარხანა მუშაობს ბუნებრივ აირზე, აქვს ბიტუმის მარაგის სამი ერთეული ავზი, თოთოეული 30 ტ-ის ტევადობით.

საწარმოში წლიურად იგეგმება 166400 ტონა ასფალტის წარმოება, 8 საათიანი სამუშაო დღით და წელიწადში 260 სამუშაო დღეებით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ ასტორია”-ს მიერ დაგეგმილი ასფალტის წარმოება, ამავე კოდექსის მე-2 დანართის 5.3 პუნქტის თანახმად, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურების გავლას და შესაბამისად წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1. სკრინინგის ანგარიში

პატივისცემით

შ.პ.ს „ასტორია“-ს დირექტორი /მ. მანველიშვილი/